№5158/07-4
24.04.17ნ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრს,
გიორგი კვირიკაშვილს

ბატონო გიორგი,

2010 წლის 10 აგვისტოს 229-ე დადგენილებით საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა საქართველოში ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობის შეფასების წარმოების, საქართველოში ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშის წარმოებისა და საქართველოში მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების წარმოების წესები.

საქართველოში ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობის ბოლო შეფასება გამოქვეყნდა 2013 წლის იანვარში და მას შემდეგ არ გამოქვეყნებულა.

ასევე, უკვე მე-5 წელია არ ქვეყნდება ჯანდაცვის ეროვნული ანგარიში, რომლის წარმოების ძირითადი მიზნებია ქვეყნის მასშტაბით ჯანდაცვის სექტორში ფინანსური ნაკადების აღრიცხვა და მათი ანალიზი სხვადასხვა განზომილებაში; ჯანდაცვის პოლიტიკის ეკონომიკური შედეგების მონიტორინგი; ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშების შედეგებზე დაყრდნობით ჯანდაცვის დაფინანსების პოლიტიკის რეკომენდაციების შემუშავება; სხვა ქვეყნების ჯანდაცვის დანახარჯებთან შედარებითი ანალიზი.

ასევე არაა ხელმისაწვდომი სრულფასოვანი ინფორმაცია საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 221-ე მუხლის შესაბამისად,

1. აგვიხსნათ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მთავრობის დადგენილების უგულვებელყოფის მიზეზი;
2. მოგვაწოდოთ მაქსიმალურად დეტალური ინფორმაცია იმ პარამეტრებით, რასაც საქართველოში ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობის შეფასების, საქართველოში ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშისა და საქართველოში მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების 2013 წლამდე გამოქვეყნებული ვერსიების დადგენილი სტანდარტი ითვალსიწინებს.

პატივისცემით,

ზურაბ ჭიაბერაშვილი